პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

10

სექტემბერი, ოთხშაბათი
1961 წ.

№ 139 (1775)

გამოდის მე-18 წელი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული წრაფვიცების ქვეყანა

როცა რომის ოლიმპიურ თამაშებზე კლასიკურ ჭიდაობაში შეჯიბრებაში გამარჯვებულის კვარცხლბეკზე დაკუნთული ვაჟკაცი ავიდა, ბაზილიკა დი მასენციოს ნანგრევებში სახელდახელოდ მოწყობილ ტრიბუნებზე შეკრებილი ათასობით მაყურებელი აღფრთოვანებით შეხვდა კლასიკური ჭიდაობის შესანიშნავი ოსტატის ბულგარელ დ. დობრევის ბრწყინვალე გამარჯვებას.

დ. დობრევის გარდა რომში დიდი წარმატებები მოიპოვეს მისმა თანამემამულეებმა, რომლებიც ოლიმპიადის პრიზიორები გახდნენ: ტანმოვარჯიშე ვ. კაპსაზოვი, მოჭიდავეები დ. სტოიკოვი, კ. ბიმბალოვი, ე. დიმოვი, ს. ივანოვი და სხვ.

ჩვენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სპორტზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ გუშინ ამ ქვეყნის ეროვნული დღესასწაული იყო. 17 წლის წინათ ბულგარელმა მშრომელებმა საბჭოთა ჯარების დახმარებით ფაშისტური უღლისაგან გაათავისუფლა ბულგარეთის ტერიტორია და დაამყარა სახალხო რესპუბლიკა.

17 წლის განმავლობაში დიდი წარმატებები იქნა მოპოვებული ქვეყნის მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის განვითარების დარგში. აქ განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ფიზკულტურა და სპორტი, რომელიც სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ გამოაცხადა მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთ მძლავრ საშუალებად.

მსოფლიო სარბიელზე სულ უფრო და უფრო გამოჩნდნენ ბულგარელი სპორტსმენები, გუნდები, რომლებიც მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევდნენ სულ ახლახან სოფიამ გულთბილად გააცილა უნივერსიადის მონაწილენი, რომლებიც 9 დღის განმავლობაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სტუდენტთა შორის მსოფლიო ჩემპიონის სახელის მოპოვებისათვის. — შესანიშნავი მიღება, სტუმართმოყვარეობა, —ასეთი იყო უნივერსიადის ყველა მონაწილის საერთო აზრი.

ბულგარელ მშრომელთა განკარგულებაშია 500-ზე მეტი სტადიონი, სპორტული მოედანი და დარბაზი. ფიზკულტურასა და სპორტში წარმატებების მოპოვებისათვის აქ დაწესებულია სპორტული სახელწოდება — სპორტის ოსტატი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

სახალხო ბულგარეთი ახალ ცხოვრებას აშენებს, რომლის მიზანია ხალხის ბედნიერი ცხოვრება, მშვიდობისა და ადამიანთა კეთილდღეობისათვის ბრძოლა, დემოკრატული ბანაკის ქვეყნებთან მჭიდრო და მტკიცე კონტაქტი.

სურათებზე: (ზევით) მ. ბოტვინიკისა და ს. ფლორის შეხვედრა საქართველოს საზღვარზე (ქვემოთ), მ. ბოტვინიკი აძლევს ავტოგრაფს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ჩემპიონი პასუხობს კითხვებზე

რამდენიმე დღეა თბილისელები მასპინძლობენ მსოფლიო ჩემპიონს მ. ბოტვინიკსა და გროსმაისტერ ს. ფლორს. სახელოვანი მოჭადრაკეები ინტერესით გაეცნენ თბილისის ღირსშესანიშნაობებს, რომელთაგან მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სპორტის სასახლემ. ისინი იყვნენ მცხეთაში, სადაც დათვალიერეს სვეტიცხოვლის ტაძარი და ესტუმრნენ მ. მამულაშვილს — ყვავილების „გროსმაისტერს", როგორც მას მ. ბოტვინიკმა უწოდა. შემდეგ ავიდნენ ჯვრის მონასტერზე, დაესწრნენ უურძნის კრეფას დიღმის საბჭოთა მეურნეობაში.

დიდი ინტერესი გამოიწვია მ. ბოტვინიკისა და ს. ფლორის ლექციამ — „ჭადრაკი 1961 წელს", რომელიც რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში ჩატარდა. გროსმაისტერებმა პასუხი გასცეს მრავალ შეკითხვას. მეორე დღეს ისინი ესაუბრნენ ტელემაყურებლებს ჭადრაკის საინტერესო საკითხებზე. გუშინ, როცა ჩვენი გაზეთი იბეჭდებოდა, მ. ბოტვინიკი განაგრძობდა ერთდროული თამაშის სეანსს თბილისის 8 უძლიერესი მოჭადრაკის წინააღმდეგ რუსთაველის სახ. თეატრის საკონცერტო დარბაზში.

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტმა თხოვა მ. ბოტვინიკს პასუხი გაეცა მრავალ შეკითხვაზე, რომლებიც მის სახელზე შემოვიდა „ლელოს" რედაქციაში მკითხველებისაგან.

შეკითხვა: მომავლის როგორი გეგმები გაქვთ ჭადრაკსა და მეცნიერებაში?

მ. ბოტვინიკი: მიმდინარე წელს მე არ ვაპირებ თამაშს. წელს ბევრი ვითამაშე. საჭიროა მივხედო საქმეებს ელექტროენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, სადაც მე ვმუშაობ განყოფილების გამგედ. ჭადრაკის თამაშს ვაპირებ ახალი წლიდან. ჯერ მე და ფლორი გავემგზავრებით ჰოლანდიაში საჭადრაკო დღესასწაულზე, რომელზეც მიწვეული ვართ, ხოლო შემდეგ ინგლისში — ჰასტინგსის საერთაშორისო ტურნირზე. საინტერესოა, რომ ამ უკანასკნელზე ლონდონიდან მიწვევა მოუვარულებმა გამოატანეს ჩვენს გმირ კოსმონავტს ი. გაგარინს.

შეკითხვა: რატომ ამბობთ, რომ შეიძლება არ ითამაშოთ 1963 წლის მატჩში მსოფლიო პირველობაზე?

მ. ბოტვინიკი: ჯერ არ ვიცი როგორ ვიქნები ჯანმრთელობის მხრივ. მე ალარ ვარ ახალგაზრდა. ასეთ მატჩებს ბევრი დრო და გამძლეობა ჭირდება. ახლა მე თავს კარგად ვგრძნობ. ასე თუ გაგრძელდა, შეიძლება კიდეც ვითამაშო, მით უმეტეს, თუ პრეტენდენტი ვინმე უცხოელი გახდება.

შეკითხვა: მართლა თუ ალარ ითამაშებთ, მაშინ ვის შეამკობენ მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინით?

მ. ბოტვინიკი: ასეთი შემთხვევისათვის ფიდეს წესდებაში ნათქვამია, რომ გაიმართება მატჩი 24 პარტიიდან პრეტენდენტთა ტურნირში I-II ადგილებზე გამოსულ გროსმაისტერებს შორის. გამარჯვებულს მიენიჭება ჩემპიონობა.

შეკითხვა: რა მიზეზია, რომ თქვენთან დამარცხების შემდეგ საგრძნობლად დაეცა დ. ბრონშტეინისა და ვ. სმისლოვის თამაშის ძალა?

მ. ბოტვინიკი: ეს თვითონ მათ უნდა ჰკითხოთ. მე შემიძლია ვთქვა მხოლოდ ის, რომ დ. ბრონშტეინი და ვ. სმისლოვი კვლავ რჩებიან უძლიერეს მოჭადრაკეებად. პირველის წარუმატებლობა აიხსნება მისი დაუდგრომელი ხასიათით. იგი ზოგჯერ ორიგინალობს და ამიტომ მეძნელება ვთქვა გაიმეორებს თუ არა წარსულ შედეგებს. მეორის უფერული შედეგები, ჩემის აზრით, დროებითია, მალე უნდა ველოდოთ მისგან ახალ აღმაფრენას.

შეკითხვა: გაუწევს თუ არა კონკურენციას მოჭადრაკეებს მოთამაშე ელექტრონული მანქანების გამოჩენა?

მ. ბოტვინიკი: არა! ასეთი მანქანები დაგვეხმარება მოჭადრაკეთა თამაშის სრულყოფაში. მანქანას „ცოდნას" აძლევს ადამიანი. ამიტომ მოჭადრაკეს შეუძლია ნასწავლი, პროგრამირებული მანქანა გამოიყენოს თავის მწვრთნელად, დამხმარედ გადადებულ პოზიციაში ვარიანტების გამოთვლაში. ამ მანქანების ღირსებაზე შეიძლება ბევრი ითქვას. იგი ჭადრაკის მომავლის საინტერესო საკითხია.

შეკითხვა: რა მოგეწონათ თბილისში, როგორი შთაბეჭდილებებით მიემგზავრებით?

მ. ბოტვინიკი: ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ვიმგზავრე აზერბაიჯანში, სომხეთსა და საქართველოში. ბევრი რამ საყურადღებო ვნახე, გავიგე. თბილისი ჭეშმარიტად ლამაზი ევროპული ტიპის ქალაქია, ხოლო რუსთაველის პროსპექტი, მისი გვირგვინია. იგი მოგაგონებთ პარიზის ერთ-ერთ კუთხეს.

მოვასწარი მენახა ძველი ქართული კულტურის ძეგლები — სვეტიცხოველი, ჯვრის მონასტერი, მაგრამ ყველაზე უფრო მოვიხიბლე ქართული სტუმართმოყვარეობით. მე მუდამ მექნება სალაპარაკოდ თბილისში ნანახი და განცდილი.

გთხოვთ გადასცეთ ჩემი გულწრფელი სალამი ქართველ სპორტსმენებს, ჭადრაკის გულშემატკივრებს, თქვენი გაზეთის ყველა მკითხველს.



ბ. პოლულიახი — სსრ კავშირის ჩემპიონი

ოდესაში წყალში მხტომელთა საკავშირო გუნდური პირველობის შემდეგ, სადაც „დინამომ" მოიპოვა პირველი ადგილი და გარდამავალი თასი, მოეწყო პირადი პირველობა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის სახელისათვის. ქალთა შორის ტრამპლინიდან ხტომაში თავიდანვე ლიდერობა ხელთ იგდო გასული წლის ჩემპიონმა ე. კოსოლაპოვამ, რომელმაც შესანიშნავად ჩაატარა დასკვნითი ხტომები და კვლავ მოიპოვა ჩემპიონის სახელი.

ვაეთა შორის პირველობისათვის ბრძოლა გაიმართა კოეველ ა. კოსტრიცკის, ევროპის ექს-ჩემპიონ რ. ბრენერსა და თბილისელ ბ. პოლულიახს შორის. ფინალში ხტომები თითქმის შეუცდომლად შეასრულა ბ. პოლულიახმა და მოიპოვა ჩემპიონის ოქროს მედალი.

შედგა მორიგი ტურის მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა" ჯგუფის გუნდებს შორის, რომლებიც მოხვედრილ არიან მეორე ათეულში.

მოსკოვის დინამოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს ვილნიუსის „სპარტაკი" და დაამარცხეს იგი ანგარიშით 3:0. ეორონეჟის „ტრუდმა" მოუგო ლენინგრადის „ზენიტს" — 2:0, ხოლო სტალინოს „შახტიორმა" — მინსკის „ბელარუსს" — 4:2.

* * *

მორიგი დამარცხება განიცადა „კალევმა" (ტალინი) რიგის „დაუგავასთან" შეხვედრაში — 0:1. ლენინგრადის „ადმირალტეეცისა" და ალმა-ატის „კაირატის" შეხვედრაში გაიმარჯვა „ადმირალტეეცმა" — 2:1.

პრის რესპუბლიკური რეკორდი

ცოტა ხანაც და თბილისის „ბურევესტნიკის" სტადიონზე აფრიალდება მძლეოსანთა საკავშირო პირველობის ალამი.

ამ მნიშვნელოვანი შეჯიბრებისათვის მზადების ერთ-ერთ ეტაპს წარმოადგენდა ახლახან ლესელიძეში ჩატარებული საქართველოს უძლიერეს მძლეოსანთა ასპარეზობა, რომელშიც საკმაოდ კარგი შედეგები იქნა ნაჩვენები.

კარგ სპორტულ ფორმაშია ვ. ბლაძე, რომელმაც ბრთვი 15,80 მეტრზე ჰკრა და ახალი შესწორება შეიტანა რესპუბლიკური რეკორდების ცხრილში.

დღითა-დღე აუმჯობესებს თავის შედეგებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი თ. მდივანი. ოლიმპიური ჩემპიონის რ. შავლაყაძის მოწაფემ სიმაღლეზე ხტომაში ამჯერად 195 სმ დაძლია.

80 მეტრზე თარჯმრბენ ქალთა შორის ფინიშთან პირველი იყო მ. ქოჩლაძე — 11,3, რომელსაც ერთი მეათედი წამით ჩამორჩა რ. იანშინა. ეს უკანასკნელი თავის მხრივ საუკეთესო იყო სიგრძეზე მხტომელთა შორის — 5,84 მ.

რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულმა ორგანიზაციებმა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის გახსნის დღისათვის იკისრეს ტურისტულ ღონისძიებებში ჩაებან რესპუბლიკის მოსახლეობის 3 პროცენტი







სურათზე: თბილისის ტურისტული ბაზის მშენებლობა. ქვევით სურათზე აღბეჭდილია ტურისტთა ბაზის ფასადის რეპროდუქცია.

ყველას მოსწონს ჩვენი მთა-ბარი

ჩვენი რესპუბლიკა მდიდარია თავისი მრავალფეროვანი ბუნებით. მთაში თუ ბარში, ზღვის სანაპიროზე თუ მდინარის ხეობებში ზურგჩანთაკიდებული ტურისტისათვის ბევრი რამაა საინტერესო და ხელშესახები. ამიტომ არის, რომ ჩვენი დიადი ქვეყნის ყველა მხრიდან—უკიდურესი ჩრდილოეთიდან თუ შორეულ აღმოსავლეთიდან, შუააზიიდან თუ ბალტიისპირეთიდან ათასობით ტურისტი მოდის ხოლმე საქართველოს მთა-ბარის დასალაშქრავად. მოდიან ტურისტები საზღვარგარეთის ქვეყნებიდან საბჭოთა საქართველოს შორეული წარსულის ქარტეხილებში გამოვლილი და გადარჩენილი ისტორიული ძეგლების გასაცნობად, ჩვენი სოციალისტური თანამედროვეობის სურნელის შესაგრძნობად. შორეული მხრიდან მოსულ სტუმარს კარგი დახვედრა უნდა, მან ხომ თავი ისე უნდა იგრძნოს, როგორც საკუთარ სახლში. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ამჟამად 33 ტურისტული ბაზა, მათი ფილიალი და ბანაკია შექმნილი, ბაზებია შექმნილი მთაშიც, ბარშიც და ზღვის სანაპიროზეც. ყაზბეგი და მესტია, ვარძია და ბორჯომი, სოხუმი და ბათუმი და კიდევ ბევრი სხვა ტურბაზა შორი მხრიდან მოსულ სტუმარს გულღიად და ამ სიტყვებით ხვდება: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“. წელს ჩვენს რესპუბლიკაში 33 სხვადასხვა სახის მარშრუტით საქართველოს საექსკურსიო-ტურისტული ბაზები წლის ბოლომდე 90 ათასზე მეტ ტურისტს მოემსახურება. უკვე მოეწყო 6 რეისი თბილისავალ „ნახიმოვით“ შავ ზღვაზე მარშრუტით: ოდესა-ბათუმი და ბათუმი-ოდესა. არც ადგილობრივ მოსახლეობას აკლია ზრუნვა. ტურისტული სეზონის დასასრულისათვის 500.000-დე მოგზაური და მოაგარაკე დალაშქრავს ტურისტულ ბილიკებს, გაეცნობა შშობლიურ მხარეს რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთაც, გაეცნობიან ისტორიულ ძეგლებსა და სოციალისტურ მშენებლობათა გიგანტებს.

მომავალში ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა მხარეში ახალი ტურისტული ბაზები შეიქმნება — ქ. ფოთის მახლობლად მალთაყვაში, შაორზე და სხვ. შაორს ზამთარშიაც ეტუმრებიან ტურისტები. აქ ხომ შესანიშნავი პირობებია შექმნილი ციგურაობისა და სათხილამურო სპორტის განვითარებისათვის. ეს მომავლის გეგმებია, ამჟერად კი რესპუბლიკის ყველა ბაზაში ტურისტული სეზონი ჩქეფს და დუღს. ეესტუმროთ ერთ-ერთ მათგანს: თბილისი, სულხან-საბას ქუჩა. აქაც, ეს ბაზაც ტურისტებს ასეთი სიტყვებით ხვდება: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“. და მართლაც, კარგი დახვედრისა და შინაარსიანად გატარებული დღეების შედეგად აქედან უკან გაბრუნებულ ტურისტს ყოველთვის კეთილი მოგონება და მადლიერების გრძნობა გაჰყოლია თან. საიდან არ ყოფილან აქ: მაგადანიდან, რიგიდან, კიროვაბადიდან, მოსკოვიდან, არხანგელსკიდან, კუიბიშევიდან, ომსკიდან... ჩვენ რომ ქალაქების ჩამოთვლა განგვეგრძო საიდანაც თბილისში ჩამოდიან ტურისტები, ალბათ საბჭოთა კავშირის რუკაზე მონიშნული ყველა ქალაქის დასახელება მოგვიხდებოდა. თბილისის საექსკურსიო-ტურისტული ბაზის მიერ მიმდინარე წლის ოქტომბრის დამლევამდე მომსახურებულ ტურისტთა რიცხვი 15.000-მდე მიაღწევს. ბაზა მასპინძლობას უწევს საზღვარგარეთელ სტუმრებსაც. პოლონეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, უნგრეთიდან, ავსტრიიდან და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებიდან საქართველოს წელს 15 ჯგუფი ეესტუმრა. ტრადიციად დამკვიდრდა „მეგობრობის მატარებლების“ მიღებაც. თბილისის ვოგზალს უკვე მოადგა „მეგობრობის“ 6 მატარებელი მოსკოვიდან, ბაქოდან, კუიბიშევიდან. „მეგობრობის მატარებლებს“ თბილისში ელიან ლენინგრადიდან და რიგიდან.

საბჭოთა მოგზაური იქნება ეს თუ უცხოელი ტურისტი, ყველა დიდი ინტერესით ათვალიერებს ჩვენს დედაქალაქს. — ჩვენთან ხომ ბევრი რამაა საინტერესო, ამაზე თემატური მარშრუტებიც მეტყველებენ: „თბილისი საბჭოთა საქართველოს დედაქალაქი“, „თბილისის რევოლუციური ადგილები“, „ლიტერატურული თბილისი“, „თბილისის ზღვა“ და სხვა — გვეუბნება ტურბაზის უფროსი ინსტრუქტორი გ. ჯინორაძე და განაგრძობს: ამ მარშრუტებზე უწევენ მომსახურებას ტურბაზის წამყვანი ექსკურსიამძღოლები: მ. ტყეშელაშვილი, თ. ვუგუშვილი, რ. რაზმაძე, ლ. ბატურინა, ი. ვოლგუსტი, ნ. ბანოიანი, ა. კიკვიძე, ნ. ანთიძე... ამ მუშაკებისა და მრავალი სხვის მიმართ დიდი მადლიერების გრძნობით გამსჭვალული სიტყვებია ჩაწერილი ტურბაზის შთაბეჭდილებათა წიგნში. ჩვენც გადავშალოთ ამ წიგნის ფურცლები და ზოგერთ ჩანაწერს გავეცნოთ:

„პოლონეთის ტურისტთა ჯგუფი დიდ მადლობას გიძღვნით თქვენ, ქართველ მეგობრებსა და გულთბილ ადამიანებს. ლამაზი საქართველოს მიდამოებმა პოლონელები აღგვაფრთოვანა“. უნგრელი ტურისტის ტიბორ ლოლაის ჩანაწერში ნათქვამია: „უნგრელი ტურისტები სიყვარულით მოიგონებენ იმას, რაც მათ საქართველოში ნახეს: შესანიშნავ სამხედრო გზას და ბრწყინვალე დედაქალაქს — თბილისს. მადლობელი ვართ ქართველი ძმებისა, რომლებმაც თავისი სტუმართმოყვარეობით განცვიფრებამდე მიგვიყვანეს. ტურბაზის მუშაკმა თ. გუგუშვილმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ჩვენი აქ ყოფნა კიდევ უფრო სასიამოვნო და სასიხარულო ყოფილიყო“. ავსტრიელი ტურისტები კი წერენ, რომ მათი ჯგუფი „აღფრთოვანებულია თბილისელთა საუცხოო სტუმართმოყვარეობით. მომსახურება იყო შესანიშნავი, მაგრამ ასე მოკლე ხანში ყველაფერ იმ კარგის გაცნობა, რაც თბილისშია, მართლაც რომ შეუძლებელია. თბილი მოგონებები და მადლიერების გრძნობები თბილისური სტუმართმოყვარეობისა, თან მიგვყვება“...

ტურისტული ბაზის ხშირი სტუმრები არიან თვით თბილისელებიც. ბაზის მეშვეობით წელს 43.000 თბილისელი ექსკურსიათა და ლაშქრობათა მონაწილეა. წელს კიდევ 10.000-მდე თბილისელი გაივლის ადგილობრივი მნიშვნელობის მარშრუტებით. თბილისს საექსკურსიო ტურისტულ ბაზასთან მჭიდრო კონტაქტში არიან ქალაქის წარმოება - დაწესებულებები: კერამიკული ქარხანა, ფეხსაცმელების № 1 ფაბრიკა, კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხანა და მრავალი სხვ. ამ წარმოება-დაწესებულებათა ტურისტები ბაზის დახმარებით აწყობენ ქალაქგარეთ ტურისტულ გასვლებს, ეცნობიან მშობლიურ მხარეს...

— საექსკურსიო-ტურისტული ბაზის შენობა თბილისში ჩამოსულ ტურისტთა გაზრდილ რიცხვს უკვე ძნელად აუდის, ამიტომ გადაწყდა, რომ ვაკეში — „ბურევესტნიკის“ სტადიონის მახლობლად, 1962 წლის ბოლოსათვის ახალი თანამედროვე ტიპის 300-საწოლიანი შენობის აგება დამთავრდეს, — გვეუბნება თბილისის საექსკურსიო-ტურისტული ბაზის დირექტორი ი. სულთანიშვილი. მშენებლობა მიმდინარეობს არქიტექტორების — ი. კასრაძის, ვ. სამთელაძისა და თ. აბაშიძის პროექტით. არქიტექტორებს გაუთვალისწინებიათ ყველაფერი ის, რაც ტურისტის კარგი მომსახურებისათვისაა საჭირო. 1963 წლის ტურისტულ სეზონში ეს შენობა ექსპლოატაციაში შევა...

მ. ქავთარაძე

მომავლის გეგმები

თბილისში კულტურისა და დასვენების რა ახალი კერების შექმნაა განზრახული? — ასეთი კითხვით მიმართა ჩვენმა კორესპონდენტმა თბილისის მთავარ არქიტექტორს ი. ჩხენკელს. აი, რა გვიპასუხა მან:

— მშრომელთა კულტურული დასვენების უკეთ მოწყობის მიზნით თბილისში წლების განმავლობაში ბევრი რამ გაკეთდა. ამჟერად ამის შესახებ არ ვილაპარაკებთ. გადავხედოთ მომავლის გეგმებს. ჩვენს საპროექტო სახელოსნოებში მრავალი ახალი პროექტი მუშაადება. უახლოეს ხანში ჩვენს ხელთ იქნება რამდენიმე ახალი პროექტი. პირველი მათგანი თბილისის ზღვისა და მისი ტერიტორიის დეტალური დაგეგმარების პროექტია. აქ ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ სპორტული კომპლექსის შექმნას, სადაც გათვალისწინებული იქნება სპორტული თამაშებისათვის განკუთვნილი მოედნების მოწყობა. თბილისის ზღვის ტერიტორიაზე ტიპური პროექტების მიხედვით აიგება პიონერთა ბანაკების შენობები, კულტურისა და დასვენების პარკი, აგრეთვე მოეწყობა ტყეპარკი... მუშავდება პროექტი, რომლითაც გათვალისწინებულია ლისის ტბის გარშემომდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა. ქალაქის სიღრმიდან აქ გადმოტანილი იქნება ზოოპარკი, მოეწყობა სპორტული მოედნები. რაც შეეხება ზოოპარკის ახლანდელ ტერიტორიას და მდინარე ვერის ხეობას — გმირთა მოედნიდან სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტამდე გადაიშლება კულტურისა და დასვენების პარკი. ჩვენი არქიტექტორები ამ ობიექტის პროექტის შექმნისას გაითვალისწინებენ ყველა იმ ატრიბუტს, რაც კულტურული დასვენების ამ ვეებერთელა უბანს შეეფერება. ჩვენი მიზანია გავაშენოთ ისეთი პარკი, რომელიც თანამედროვე მოთხოვნების სიმაღლეზე იქნებოდა... ასევე მუშავდება პროექტები ვაკის პარკის ფერდობისა და კუს ტბის კეთილმოწყობის მიზნით. კუს ტბაზე ისევე, როგორც ფუნიკულორზე, გადაიშენება სბაგირო გზა. აი, ჯერჯერობით ის, რასაც უახლოესი დროისათვის ვითვალისწინებთ. წლის ბოლომდე ყველა ეს საპროექტო სამუშაოები უნდა დამთავრდეს, შემდეგ კი სიტყვა მშენებლებს მიეცემათ.

ლელო

მე-2 გვ. № 139 (1775)

ისევ დამარცხება

თბილისი. „ბურევესტნიკის“ სტადიონი. 9 სექტემბერი.

მალის რესპუბლიკის ნაკრები-„დინამო“ (თბილისი) — 1:4 (0:4).

მალის რესპუბლიკის ნაკრები — ტურე (აბდულაი); ჯაკიტე, კოროჯანი, ბუარე; ბასსი, ნდავი; ჯალო, დომბელე, ჯაორა, კეიტა, ბეკუ.

„დინამო“ — კვახსვაძე (ყოჩიაშვილი); ზეინკლიშვილი, თორაძე, სურცილავა; ბ. სიგინავა, ხელაძე (პეტრიაშვილი); მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, მაისურაძე (იაშვილი), ვეკუა.

მსაჯი. ვ. სამოლაზოვი (როსტოვი).

ეს იყო მალის ახალგაზრდა რესპუბლიკის ნაკრების ტურნეს უკანასკნელი საერთაშორისო მატჩი ჩვენი ქვეყნის ფეხბურთელებთან. მანამდე მათ ითამაშეს მოსკოვის „ლოკომოტივთან“, მინსკის „ბელარუსთან“, ერევნის „სპარტაკთან“ და სამივე მატჩში დამარცხება განიცადეს, ამიტომაც სწორედ თბილისის დინამოელებთან სურდათ თუნდაც ერთგვარად აღედგინათ პრესტიჟი. მათ წისქვილზე წყალს ასხამდა დინამოელთა 6 წამყვანი მოთამაშის საკავშირო ნაკრებში ყოფნა, რაც სტუმრებს წარმატების ერთგვარ იმედს აძლევდა.

მაგრამ დასაწყისიდანვე აშკარა გახდა, რომ მალელთა სურვილი სურვილად დარჩებოდა, რადგან დინამოელები მოწინააღმდეგეს სჯობდნენ ყველა რგოლში, ადვილად ნახულობდნენ თავისუფალ ადგილებს მათი კარის მისასვლელებთან და მალელ მცველთა თავგამოდებული თამაშის მიუხედავად, ხშირად ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს.

შეხვედრის პირველი ნახევრის უკვე 27-ე წუთზე ანგარიში იყო 4:0 თბილისელთა სასარგებლოდ (ორ-ორი გოლი გაიტანეს კალოევმა და ბარქაიამ).

თუ მატჩის პირველ ნახევარში სტუმრების სუსტი წინააღმდეგობის გამო მატჩმა მაყურებლებში დაკარგა სპორტული ინტერესი, მესამე ნახევრის შემდეგ სურათი შეიცვალა. სტუმრებმა ისარგებლეს დინამოელთა მიერ ტემპის მოდუნებით, რამდენიმე წუთავე იერიშობ[illegible] [illegible] [illegible] [

1.000 ᲐᲚᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ

18 წლის წინ, 1943 წელს ფრედერიკ დიუმამ საფრანგეთის სამხრეთ სანაპიროზე, მარსელის მახლობლად 50 მეტრის სიღრმეზე ჩაყვინთა. ეს იყო ხაიდუმლოებით მოცული ზღვის სიღრმეთა დაპყრობის პირველი ოფიციალური რეკორდი. სულ რამდენიმე კვირის შემდეგ წარმატებით გათამამებულმა დიუმამ გაიმეორა თავისი შედეგი და ფსკერის მიმართულებით 93 მეტრი დაძლია. ამ მსოფლიო რეკორდმა 18 წელს იარსება, ვიდრე, ესპანელმა ედუარდო ადმეტამ მას 12 მეტრი არ მოუმატა.

გავიდა კიდევ ერთი წელი და რეკორდების ცხრილში ახალი შესწორება იქნა შეტანილი. იტალიელებმა ნოველმ, ოლიანმა და ფალკომ 131.5 მეტრის სიღრმეზე ჩაყვინთეს. და აი დადგა 1960 წლის 23 აგვისტო. მსოფლიო რეკორდის გასაუმჯობესებლად სტარტი აიღო შვეიცარელმა მეცნიერმა, მათემატიკის პროფესორმა, 26 წლის ჰანს კელერმა.

უამრავი რეპორტიორის, მსაჯის, ზღვის სიღრმეთა დაპყრობი სპეციალისტის დასწრებით ჰანს კელერი იწყებს წყალში ჩაშვებას. აქ არის კაპიტანი კუსტო, კომენდანტი ალინზი, ფარმაცევტი დიუფო-კასინაბი, კომენდანტი გრუელიარი, ფრედერიკ დიუმა, ექიმი ბარტელინი და სხვები. ისინი გაკვირვების ღიმილით უყურებენ მომავალ რეკორდსმენს, რომელიც საკმაოდ უცნაური და მარტივი ტიპის სკაფანდრით ცდილობს თავისი განზრახვის განხორციელებას.

სიღრმეში ჩასაშვები აპარატი საყვინთავ ზარს უფრო წაგავს. იგი გაკეთებულია ბენზინის 200-ლიტრიანი კასრისაგან. (აპარატის დამზადება პროფესორს სულ 5 ახალი ფრანკი დაუჯდა). 4 მაღალი ბალონი, რომელშიც მოთავსებულია საიდუმლო სასუნთქავი სითხე, აი მთელი მოწყობილობა, რომლითაც ჰანს კელერს გადაწყვეტილი აქვს მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესება.

დაიწყო ზღვაში ჩაშვება. მამაც მყვინთავთან ერთად ნელნელა ეშვება წყალში ლითონის ტროსი და სატელეფონო მავთული. ხანგამოშვებით კელერი ტელეფონით გადმოსცემს ცნობას — „ყველაფერი წესრიგშია“. უეცრად მავთული წყდება. სიწყნარეა. შიში და იმედი იხატება მაყურებელთა სახეებზე. ახალგაზრდა პროფესორს სამყაროსთან აკავშირებს მხოლოდ ლითონის წვრილი ტროსი.

გადის კიდევ რამდენიმე წუთი და ბოლოსდაბოლოს მყვინთავი იძლევა ნიშანს. დაიწყო ამოსვლა. როდესაც კელერი წყლის ზედაპირზე ამოვიდა, მრავალრიცხოვანი მაყურებელი მას მხიარული ტაშით შეხვდა. მამაც მყვინთავს ულოცავენ ახალი მსოფლიო რეკორდის დამყარებას. ადამიანი ზღვის სიღრმეში 156 მეტრზე ჩაეშვა.

პირველად სპეციალისტებმა ეს ცნობა უნდობლად მიიღეს, მაგრამ ექვის მიტანა ძნელი იყო: სარეკორდო ჩასვლის მთელი მსვლელობა მტკიცე კონტროლის ქვეშ იყო აყვანილი. მაშ რა მოხდა. ხომ არ ნიშნავს ახალგაზრდა პროფესორის წარმატება ახალ გადატრიალებას საყვინთო სპორტში? კელერმა ერთსადაიმავე დროს დაამარცხა ორი საშინელი მტერი — სიღრმით გამოწვეული თრობა ჩასვლის პროცესში და კესონის ავადმყოფობა სწრაფი ამოსვლისას. როგორც ცნობილია, იტალიელებმა თავიანთი რეკორდის დამყარების დროს (131,5 მ) წყლის ზედაპირზე ამოვიდა, მრავალრიცხოვანი მაყურებელი მას მხიარული ტაშით შეხვდა. მამაც მყვინთავს ულოცავენ ახალი მსოფლიო რეკორდის დამყარებას. ადამიანი ზღვის სიღრმეში 156-მეტრიანი მანძილი ამოსვლისას 30 წუთში დაფარა.

ყოფილი რეკორდსმენების წარმატება მათი ინდივიდუალური მონაცემების მიზეზი იყო, კელერმა კი, როგორც ჩანს, აღმოაჩინა საშუალება, რომელიც ყველასათვის ადვილი მისაწვდომი იქნება. რაში მდგომარეობს ეს ახალი მეთოდი, ჯერ უცნობია, მითუმეტეს, რომ კელერი არ ხსნის თავისი სასუნთქი ხსნარის შემადგენლობის საიდუმლოებას.

მამაც პროფესორს უახლოეს ხანში განზრახული აქვს 300-350 მეტრის სიღრმეზე ჩაშვება. ამავე დროს, მისი აზრით შესაძლებელია ფანტასტიკური სიღრმის — 1000 მეტრის მიღწევა.

ეს მეგობრული მარაგები გაზეთს გადმოსცა ... ბატონ-... დოლიქემ. მარცხნივ — ... ბელბურთელ ქალთა გუნდის ... რები (მარცხნიდან): ... ... ინგა ... ...